


საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საცემში, ბოგბინგ ბეჭდუ-
რები სიფყვას, ცყდილებით და ჭბებით ბუბ-
თის გატანა ყველა უჯანდისბბაჭ უსამბაგლუსია.

პარასკევი, 1 სექტემბერი. 2017 წ. №176 (8313), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ხანძარი და სამარცხვინო სპეკულაციები



მურან პასტანბაძე
„სნობილი
ზონდერი“ ყოფილა...



**ჯანდაცვის
ბაქტერიებით
ხალხის
დაზარალება
და ბიზნესის!**

**ბასშირბუღა
ხანძრბბა
ქვეყნის
არაკითილ-
მოსურნენი
ბამონაშპარბბა!**

**ქივში ქართული
კრიმინალები
დაბბბბ**

უპრბინის დედაქალაქში საქართ-
ველოს მოქალაქეები დაბკავეს. ამის
შესახებ კიევის პროკურბტურბ იტყო-
ბინებბ. გავრცელებული ინფორმაცი-
ით, დაბკავებულბ კრიმინბლური
დაჯგუფებების 4 წევრი, რომლებიც
ბიზნესმენებს სოლიდურ თანხებს
სძბლბდნენ. ბოლო თავდბსბბ მბთ
ბრესტი-ლიტოვის მბგისტრბლზე მო-
ბწყვეს, ბიზნესმენი მბმბდ დაჭრეს და
6 ნახევბრი მილიონი გრივენი გბიტბ-
ცეს. თავდბსსმებლები რბმდენიმე სბ-
ბთში დაბკავეს. მბთი ვინბობბ ჯერჯერ-
ობით არ ხახელებბბ.

თბბბრ კბხნბბ:
**სბბბბბბბბ
პოლიტიკურ
გვბბბდ იქსბ**

**გუბბბბბ
ბინებს რუსბბი,
უკრბინებლები
და ყბზბხბბი
ყიდულბბბბ!**

**ბიჭი
რობ
კბსბდ
იქსბს!**

გამოიღვბბბ, არო!

გულის გული

გონიერ კბსთბ მონსტრბბული სიტყვბ

ბხბლბბზრდბ ფოტოგრაფბბ, რომელმბც **ჩბრჩბლს** ორ-
მოც წლისთბვბნ დაბკავშირებბთ სურბბთი გბდაულბ,
უბხრბ:

- იმედი მბქვს, რომ ბქვენი დბბბდებბს ბსი წლისთბვ-
ზეც გბდაგილებბთ სურბბთსო.
- სრულიბდ ბდვილი შესბბლებელიბ, - უბხრბ ჩერჩბლმბ,
- ბუ ბქვენს ჯბნმრბელობბს გბუფრბთხბლდებბთო.

ცნობილი დირბჟორბს კონცერტბს
დროს **ბბრნბრდ შოუ** რბლბცბს ეჩურ-
ჩულებობბ გვერდზე მჯდომს და იცი-
ნობბ. დირბჟორმბ ვეღბრ მობბთმბნბ,
კონცერტი შეწყვიტბ და მბმბრბბ შო-
უს:

- ძვირფბსო, ძბლიბნ ცუდბდ ბლზრ-
ბილი ბრძბნდებბთ. მე ბქვენს კომედი-
ებზე არბსოლდეს არ ვბციბიო!

ბბრნბრდ შოუს ჰკბბბხეს, - ბხლბ
რობ არ ცბოვრობდებ, რომელ ეპოქბში
ბსურვებბი ცბოვრებბსო.

- სბფრბნგებბში, ნბპოლბონ ბონბ-
პბრტბს ეპოქბშიო, - არც დბფბრებბუ-
ლბ, ბსე მბუგო შოუბ.
- ვბბბმ რბტობ? - გბუკვირბბ შემ-
კბბბხვებს.

- იმბტობ რომ მბშბნ მხოლოდ ერთ კბცს მბბჩნდბ ბბვი
ნბპოლბონბდო.

ბრბბბბ პბსტორმბ ცნობბლ ინგლისელ მსახბობს **ლბ-
რბნს ოლივბის** ჰკბბბხბ, რბტობ არბს, რომ ბქვენი ბუდბ-
ტორბბ მუდბმ სბვსებ, ჩვენ, მლვდლები კბ ბბულებული
ვბრბ, ხშირბდ ცბრბელ დბრბბბში ვბკბბბბთ ჩვენბ ქბ-
დბგებბბბო.

ოლივბემ მბუგო:
- სბქმე ბს არბს, რომ მე
ყოველ სბტყვბს სცენბდბნ
ბსე ნბრმოვბქვბმ, ბბბქობს
მბრბლბ მჯერობდეს, რბსბც
ვბმბბბ, ბქვენ კბ ბსე ქბდბ-
გებბ, ბბბქობს ბქვენი ქბდბ-
გებბს არც ერთბ სბტყვბ არბ
გჯერბბბო.

დბტბმბტბშრბ ფბლმებბს
დბმდგმელს **ჰბჩბკობს** ერთ-
ხელ ჰკბბბხეს, რბ ბზრბსბ ხბრ
ბმბ და ბმ მსახბობბზეო.

- იმბს იმდენბდ ბკლიბ ინ-
დბვიდუბლობბ, - მბუგო ჰბჩ-
კობმბ, - რომ ვერბდ ფბლმშიც
კბ ბებრ-შბვი გბმობდბსო.



**პბრბბული
ქბრბბული
კობპოზბტობრბ
ქბლი თბბბრ
პბსპბსბბბბბბ**

ცნობილი თეატრის შენობას რომ ჩაუვლი, გონებაში უმალ გენიალური კოტე მარჯანიშვილის სახელი იდვიძებს თავისი ფანტასტიკური შემოქმედებით, რომლის მართლაც რევოლუციურმა რეჟისორულმა მიდგომამ სრულიად შეცვალა და გარდატეხა შეიტანა ჩვენს (არა მარტო) ეროვნულ თეატრალურ ცხოვრებაში. მის შთაბეჭდვად ხელოვნებას ყოველთვის გვერდში ედგა უნიჭიერესი მსახიობების ბრწყინვალე თანავარსკვლავედი, ვინც მასთან ერთად ქმნიდა ქართული თეატრის საამაყო ისტორიას. შემოქმედთა ამ მდიდარ გალერეას მუდამ ამშვენებს და ალამაზებს პირველი ქართველი კომპოზიტორი ქალი **თამარ ვახვახიშვილი**.

ტაკლი გააფორმა მუსიკალურად, რომელთა წარმატებაშიც ვახვახიშვილს უდავოდ დიდი წვლილი მიუძღვის. ასეთებდა უნდა მივიჩნიოთ დადიანის „კაკალ გულში“ და „გუშინდელი“; კალაძის „როგორ“, „ხატიჯე“ და „სახლი მტკვრის პირას“; კავაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“; შენგელაიას „თეთრები“; ნახუცრიშვილის „კომბლე“; კლდიაშ-

ვილი თეატრალური მუსიკისაკენ პირველ გზამკვლევადა გვევლინება. მან მარჯანიშვილის დროს და მის შემდეგ ასამდე დრამატული სპექტაკლი გააფორმა, საიდანაც ბევრი მათგანი ჩვენი სახელოვანი თეატრის ოქროს ფონდში შევიდა, როგორც ხელოვნების იშვიათი ნიმუში.

1934-38 წლებში კომპოზიტორი ნაყოფიერად მუშაობს მოსკოვის მცირე აკადემიურ თეატრში, საკავშირო რადიოკომიტეტში, ეროლოვის „დრამისა და კომედიის“ თეატრებში. გარდა დრამატული თეატრების მუსიკისა, მის კალამს ეკუთვნის ბალეტი „სპარტაკი“, პანტომიმები „მზეთამზე“ და „ხანძარი“. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ორი ნაწარმოები დიდი წარმატებით იდგმებოდა მოსკოვისა და ხარკოვის სცენებზე. აღსანიშნავია მისი მუსიკალური კომედია „დონ ხილმწვანე შარვალი“, კანტატა, ვოკალური ციკლი „ციტატა შოთა რუსთაველიდან“, „ქართული ხალხური ბალადა“, საცეკვაო სუიტა ხუთ ნაწილად, სავიოლინო კონცერტი, რომანსები, ფუგა გუნდის, ორგანოსა და ორკესტრისათვის, გალის შუბერტის თემაზე, ორატორია. მას დაუმთავრებელი დარჩა ოპერა „ურიელ აკოსტა“, ბალეტი „ოქროს სანმისი“ და უამრავი დიდი თუ მცირე ზომის მუსიკალური ნაწარმოები.

დიდ ინტერესს იწვევს თამარ ვახვახიშვილის პუბლიკაციების ციკლი „კოტე მარჯანიშვილის დადგმების“ შესახებ და მოგონებათა ნიგნი „თერთმეტი წელი კოტე მარჯანიშვილთან“.


მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იგი მოსკოვში გადასახლდა, სადაც აგრძელებდა აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას, ყოველთვის მონაწილეობდა კომპოზიტორთა კავშირის სხვადასხვა ღონისძიებაში. საკავშირო ყრილობებზე მისი კრიტიკული აზრი ყოველთვის გაზარებული და მიღებული იყო. მას ეგზავნებოდა სარეცენზიოდ როგორც მუსიკალური ნაწარმოებები, ისე სხვადასხვა სტატიები და ნიგნები ხელოვნების ამა თუ იმ დარგში.

მოსკოვში მისი ბინის კარი მუდამ ღია იყო, სადაც თავს იყრიდნენ რეჟისორები, მსახიობები, მუსიკოსები, მხატვრები, საქართველოდან ჩასული ხელოვნების წარმომადგენლები. რაც მთავარია, ვახვახიშვილს ერთი წუთით არ გაუწყვეტია კავშირი თავის საყვარელ თეატრთან. თუკი რაიმე ლონისძიება ტარდებოდა კოტე მარჯანიშვილის სახელთან დაკავშირებული, იგი ყოველთვის მისი აქტიური მონაწილე და სულისჩამდგმელი იყო.

სიცოცხლის ბოლო ეტეხი წელი საქართველოში გაატარა, გარდაიცვალა 1977 წელს, 84 წლის ასაკში.

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ნიჭიერი კომპოზიტორი, ჩვენი ეროვნული კულტურის უანგარო მსახური, სათნო და გულკეთილი დამაინარი, ასეთია თამარ ვახვახიშვილის პიროვნული პორტრეტი. იგი ასეთადვე დარჩება მუსიკალური საზოგადოებისა და მომავალი თაობის აზროვნებაში.

გელა ძომინაშვილი,
საქართველოს
კულტურის
დამსახურებული მუშაკი,
ვანო სარაჯიშვილის
ფონდის ვიცე-
პრეზიდენტი.



ამა თუ იმ სპექტაკლში მუსიკა თავისი ხარისხით შეიძლება სხვადასხვა ყოფილიყო, მაგრამ ძირითადი მიზანი ყოველთვის მიღწეული გახლდათ - იგი ესადაგებოდა სიტუაციას და შესატყვის ემოციას იწვევდა. ვახვახიშვილს ზუსტად ესმოდა რეჟისორის მოთხოვნილება. ეს გამოჩნდა თავიდანვე, როდესაც 1922 წელს რუსთაველის თეატრში პირველი სპექტაკლი „ცხვრის წყარო“ გააფორმა. რეჟისორმა ახალგაზრდა კომპოზიტორს ლაკონურად და ზუსტად აუხსნა: „ჩემი მთავარი მოთხოვნაა, რომ მუსიკა იყოს ხალისიანი და სიცოცხლის დამამკვიდრებელი“. თამარმა კარგად გაუგო მარჯანიშვილის და სწორედ იმ ნამდვილი თეატრალური მუსიკა შექმნა.

ნებისიერი ხელოვანი თავის ზემოთაგონებულ ნიჭს რაღაც გარკვეულ მომენტში ავლენს. ასე მოხდა თამარ ვახვახიშვილის შემთხვევაშიც, როცა გუცუკოვის „ურიელ აკოსტასთვის“ მუსიკა დანერა. მიუხედავად იმი-

პირველი ქართველი კომპოზიტორი ქალი თამარ ვახვახიშვილი



სა, რომ სპექტაკლში ბევრი ეპიზოდი მელოდიის გარეშე მიდიოდა, სრული შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მუსიკა მთელი წარმოდგენის მანძილზე არ წყდებოდა.

ხშირად მუსიკა იყო ბიძგი მარჯანიშვილის შემოქმედების რაღაც გასაოცარი ფანტაზიისა. ასე მაგალითად, მუსიკამ დააბრუნა რეჟისორი „ურიელ აკოსტას“ ხელახალ დადგმასთან. აი, როგორ იგონებს ამ მომენტს ქალბატონი თამარი: „ერთ ხანს მას დაავიწყდა ეს პიესა. შემთხვევამ კვლავ შეახსენა მისი არსებობა. ვერიკო კონცერტზე უნდა გამოსულიყო. იველითის მონოლოგი უნდა წაეკითხა. მან მთხოვა მისთვის მუსიკა დამენერა. პარტურში როიალს მივუჯექით და რეპეტიციაც დავიწყეთ. უეცრად დავინახეთ, რომ ჩვენს ზემოთ მარჯანიშვილი დგას და სულ განაბული გვისმენს. მან მონოლოგი მუსიკით მეორეჯერ გაგვამოვრებინა. უეცრად გაისმა მისი ომახიანი ხმა - ყველა სასწრაფოდ სცენაზე და აქვე რეპეტიცია დაიწყო“.

ვახვახიშვილი, გენერალურ რეპეტიციებზე კოტესა და დამდგმელი რეჟისორების გვერდით მჯდომი, ყურადღებით ისმენდა მის მიერ შექმნილ მუსიკასა და სიმღერებს, ცეკვებისთვის დანერგილ მადლიან ტაქტებს, ლამაზი ჟღერადობის მელოდიებს... მას გამორჩეული უყვარდა თეატრი, დიდი ხელოვნება, ბევრს ფიქრობდა და ზრუნავდა მისთვის, მისი წარმატებისთვის. მან მარჯანიშვილის და სხვა რეჟისორების უამრავი სპექ-

ვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“; ტოლერის „პოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ და „ადამიანი მასა“; მოლიერის „გაზნაურებულ მდაბიო“; შელის „ბეატრიჩე ჩენჩი“; ბენავენტის „ინტერესთა თამაში“; სინგის „გმირი“; კაიზერის „გაზი“; ბერნარდ შოუს „უანა დარკი“; პოგოდინის „ფოლადის პოემა“; იბსენის „მშენებელი სოლნსი“ და სხვა.

რაოდენ ფართო პროფესიული განათლება უნდა ჰქონოდა და მრავალმხრივ ნიჭით უნდა ყოფილიყო დაჯილდოებული თამარ ვახვახიშვილი, რომ სრულიად განსხვავებული შინაარსის, სტილისა და გმირთა ხასიათების პიესებისთვის მოენახა შესატყვისი ჟღერადობა. ეს, ბუნებრივია, კომპოზიტორისაგან მოითხოვდა, გულდასმით შეესწავლა ეპოქა, სხვადასხვა ქვეყნების ისტორია, მათი ფოლკლორი და თანამედროვე ხელოვნება.

მისი მუსიკა იმდენად მჭიდრო კონტაქტში იყო სცენურ მოქმედებასთან, რომ დღეს თანამედროვე თეატრმა რომ განიზრახოს მარჯანიშვილის იმ დროინდელი სპექტაკლების აღდგენა და სხვა მუსიკის გამოყენება, ჩვენი ღრმა რწმენით, სრულიად დაირღვევა სპექტაკლის მხატვრული სახე და მთლიანობა.

ამრიგად, თამარ ვახვახიშვილი ქართუ-

გარემოსდაცვითი უსაფრთხოება უპირობოა

ველურ ბუნებაში დააბრუნეს

გარემოსდაცვითი უსაფრთხოების დეპარტამენტის აჭარის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა შველი ველურ ბუნებაში დააბრუნეს.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე შემოსული შეტყობინების საფუძველზე აჭარის რეგიონული სამმართველოს გარემოსდაცვითი პატრული რეგისტრისა და სწრაფი რეაგირების განყოფილების თანამშრომლებმა ხელვაჩაურში მოქალაქის მიერ ნაპოვნი შველი ნახეს. ცხოველს გარეგნულად დაზიანება არ აღენიშნებოდა.

გარემოსდაცვითი უსაფრთხოების დეპარტამენტის აჭარის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა შველი მატყალას ეროვნული ტყე-პარკის ტერიტორიაზე გადაიყვანეს და ველურ ბუნებაში გაუშვეს.

„საქართველოს ხელისუფლება ოპოზიციამ მწვავედ გააკრიტიკა იმასთან დაკავშირებით, რომ ოფიციალურმა თბილისმა ხანძრის ჩაქრობის მიზნით დახმარებისთვის რუსეთს მიმართა. ქართულ-რუსულმა კულისებში კონტაქტებმა ოპოზიციის და საექსპერტო საზოგადოების ნეგატიური რეაქცია გამოიწვია“

საქართველოსთვის განეული დახმარება ბორჯომის ტყეში მომხდარი ხანძრის ჩაქრობად. ყურადღება განსაკუთრებით ეთმობა რუსეთთან დაკავშირებით მომხდარ სკანდალურ ისტორიას: საქართველოს ხელისუფლება თავდაპირველად არ ახდენდა იმ ფაქტის აფიშირებას, რომ დასახმარებლად „ოკუპანტი სახელმწიფოს – რუსეთს მიმართა“, მაგრამ მოგვიანებით ყველაფერი ცნობილი გახდა. სტატიაში ციტირებულია როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის მარია ზახაროვას განცხადებები, ასევე საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეცნარმომადგენლის ზურაბ აბაშიძის განმარტებები.

როგორია ქართველი ექსპერტების თვალსაზრისი, სწორი ნაბიჯი გადადგა თუ არა საქართველოს ხელისუფლებამ, როცა დახმარებისთვის მოსკოვს მიმართა?

ექსპერტი ზაალ ანჯაფარიძე თვლის, რომ „ბუნებრივი, სტიქიური კატასტროფების დროს პოლიტიკური კალკუ-



ტყის ხანძარი და პოლიტიკა

ქართული ოპოზიციის რუსეთის დახმარების წინააღმდეგ

ლაცია უკანა პლანზე გადადის“. მისი თქმით, ხელისუფლება, როგორც ჩანს, ცდილობდა იმ ზარალის შემცირებას, რასაც ხანძარი მიაყენებდა ტყეებს და რომელიც შეიძლებოდა დასახლებულ პუნქტებზე გადასულიყო: „ძნელია ეს

ფაქტი ერთმნიშვნელოვნად შეაფასო – უნდა მიგვემართა თუ არა რუსეთისთვის დახმარების თხოვნით. ალბათ, იმ მომენტში მთავრობისთვის ყველაზე მთავარი საზრუნავი, ხანძრის გაფართოებული მასშტაბის გამო და მისი კატასტროფუ-

ლი შედეგების გაცნობიერება იყო, ასეთ დროს კი პოლიტიკაზე ფიქრისათვის დრო აღარ რჩება“, – ამბობს ზაალ ანჯაფარიძე რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ რუსული სამსახურის კორესპონდენტთან საუბარში.

თუმცა, როგორც სახელმწიფოს მართვის ინსტიტუტის პროფესორი თორნიკე შარაშენიძე აცხადებს, საქართველოს რუსეთისთვის – „ოკუპანტი ქვეყნისთვის“ – დახმარება არ უნდა ეთხოვა. პოლიტოლოგის თქმით, თბილისის მიერ გადადგმული ნაბიჯი მხოლოდ ე.წ. „პოლიტიკური დაშოშინების“ სურვილით შეიძლება აიხსნას, მაგრამ ასეთი პოლიტიკა, რასაც საქართველოს ხელისუფლება ატარებს, „ძალიან არაეფექტურია“. „ხელისუფლების მოქმედების ერთადერთი „გამართლება“ ამ შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ ის იყოს, რომ თბილისის მოსკოვს აჩვენებს – „აი, ხედავთ, ჩვენ ისეთ სიტუაციაში ვართ, რომ არათუ ვერაფერს დაგაკლებთ, არამედ თქვენი დახმარებაც კი გვინდა“. ასეთ პოლიტიკას მმართველი პარტია უკვე ხუთი წელია, ატარებს და ამას არანაირი დადებითი შედეგი არ გამოუვლია, პირიქით – უარესდება: ჩვენი ტერიტორიების მცოცავი ანექსია გრძელდება და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მყოფი ჩვენი მოქალაქეების ცხოვრების პირობები მძიმდება“, – აცხადებს თორნიკე შარაშენიძე „ამერიკის ხმის“ რუსული სამსახურის ჟურნალისტთან ინტერვიუში.

„Radio Voice of Amerika“ (აშშ)

თურქ ტურისტებს საქართველო „ჯერ არ აღმოუჩენიათ“, გათთვის ყველაზე პოპულარული მიმართულება საბერძნეთია...

თურქულ გამოცემა „Hurriyet Daily News“-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში განალიზებულია თურქული ტურიზმის მდგომარეობა, ყურადღება ეთმობა აგრეთვე თურქი ტურისტების მოგზაურობას უცხოეთის ქვეყნებში. განხილულია საბერძნეთის, ბალკანეთის (სერბეთი, ხორვატეთი), ჩრდ.კვიპროსის, ტუნისის მიმართულების პოპულარული და ნეგატიური მხარეები (ავტორი – ბარჩინ იხანი). პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ თურქების ყველაზე მეტი რაოდენობა საზღვარგარეთ საბერძნეთს ირჩევს, რასაც მრავალი მიზეზი განაპირობებს: გეოგრაფიული სიახლოვე, ისტორიული ტრადიციები (საბერძნეთში ბევრი ოსმანური კულტურის ძეგლია), მომსახურების მაღალი დონე, თუმცა არის ნეგატივიც – ფასების ზრდა, ინფლაცია და ა.შ. სტატიაში საქართველოს შესახებაც არის საუბარი – რით შეიძლება მოხიბლოს და მიიზიდოს საქართვე-

ლომ თურქი ტურისტები? „ჩვენს აღმოსავლეთით მდებარე საქართველო ელოდება, რომ მას თურქი ტურისტები „აღმოაჩინენ“. თურქეთის მოქალაქეებს საქართველოს ტერიტორიაზე შესვლა ეროვნული პირადობის მონუმენტებით შეუძლიათ. ზოგიერთი შეცდომით მიიჩნევენ, რომ ეს წესი მხოლოდ ზოგიერთ სასაზღვრო პუნქტში მოქმედებს. სტამბოლიდან თბილისში თვითმფრინავით ერთ საათში ჩასვალთ. საქართველო ლამაზი ქვეყანაა, განსაკუთრებით მიმზიდველია ქალაქარე რაიონების, სოფლების მწვანე ტყიანი და მთის ლანდშაფტები. ეს იმ ტურისტებისთვისაა სასარგებლო, რომლებიც სწრაფად ურბანული თურქული ქალაქებიდან თავის დაღწევას ცდილობენ და დასასვენებლად წყნარ ადგილს ეძებენ“, – აღნიშნულია პუბლიკაციაში.



„Hurriyet Daily News“ (თურქეთი)

ვაშინგტონში პირთის სანიანი ბრაჰმის თოჯინა დაღვას
ვაშინგტონში დონალდ ტრამპის კიდევ ერთი გასაბერე ფიგურა დაიდგა, რომელსაც ვირთის სახე აქვს. ინსტალაციის ავტორი ნიუ-იორკის ერთ-ერთი გალერეის მფლობელი ჯონ პოსტ ლია. „ამ იდეის მიზანი პრეზიდენტის დამცირება არ ყოფილა. ჩვენი მიზანია, ვაჩვენოთ მას თუ როგორ ამცირებს სხვა ადამიანების ღირებულებებს“, – აცხადებს ლი.

პიუსტონში ქიმიური ქარხნის ავითქაზის შედეგად რამდენიმე ალბინო დაიბადდა
ტენასში სტიქიის კიდევ ერთი კატასტროფა მოხდა. პიუსტონში კომპანია არკემას ქიმიურ ქარხანაში ორი აფეთქება მოხდა. ქარხანამ მუშაობა მანამდე შეწყვიტა, სანამ პიუსტონს თავს ქარიშხალი დაატყვებოდა, თუმცა ძლიერი წვიმისა და წყალდიდობის გამო ქიმიური ნივთიერებების გამაგრებელი სისტემა მწყობრიდან გამოვიდა. მესამე რეგბა ცეცხლის ლოკალიზება ვერ შეძლეს. გავრცელებული ინფორმაციით, აფეთქებების შედეგად პოლიციის შერიფი და კიდევ 9 ადამიანი დაშავდა. სხვა დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

ბარლინის მარს ანთისეიზიზმი აღაშენებელი
სიმონ ვიზენტალის სახელობის უფლებადამცველი ცენტრი ანთისეიზმის სიაში ბერლინის მერის შეყვანას აპირებს. მისხელ მიუღწერს ანთისეიზმული მოძრაობის

მფარველობაში ადამიანებზე. ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ ბერლინის თავკაცს ქალაქში ანთისეიზმული კამპანიის შესაჩერებლად არაფერი გაუკეთებია, რითაც დაადასტურა, რომ ანთისეიზმური იდეების მომხრეა.

კალიფორნიაში ხანძრის გაჩენის დასაბუთება



მოსახლეობის ევაკუაცია გახდა საჭირო.

ესპანეთში გოგონას ფანჯარაში გაიშრება

ესპანეთში პომიდვრების ტრადიციული ფესტივალი გაიმართა. ტომატინაში მონაწილეობა 20 ათასამდე ადამიანმა მიიღო. ამჯერად მათ 160 ტონა პომიდორი გაანადგურეს. რიგით 72-ე ფესტივალი ბუნოლში გაიმართა. ქალაქის უსაფრთხოებას 700-მდე პოლიციელი იცავდა.

რუსეთის პირველი არხის ქარხანის გაშენების დაწყება
რუსი ჟურნალისტი ანა კურბატოვა უკრაინიდან გააძევეს და ქვეყანაში შესვლა 3 წლით აუკრძალეს. ჟურნა-


ლისტს ბრალი არაობიექტური რეპორტაჟების მომზადებასა და უკრაინის შეურაცხყოფაში დასდეს. ინფორმაცია ჟურნალისტის გატაცების შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა შეადაღისას გაავრცელა, თუმცა როგორც მოგვიანებით გაირკვა, კურბატოვა უკრაინის უშიშროების სამსახურს ჰყავდა დაკავებული.

ლეონარდო დი კაპრიო სტიქიით დაზარალებულ ტყის მცხოვრებლებს დახმარება

ლეონარდო დი კაპრიოს საქველმოქმედო ფონდმა სტიქიით დაზარალებული ტყის მცხოვრებლების დასახმარებლად მილიონი დოლარი გამოყო. დამანგრეველმა ქარიშხალმა და წყალდიდობამ ტყისაში 35-მდე ადამიანი იმსხვერპლა, ათასობით კი უსახლკაროდ დატოვა. სტიქიით მიყენებული ზარალი მილიარდობით დოლარს ითვლის.

ავღანეთში 11 ათასი აშერიკელი სამხედრო იმყოფება

ავღანეთში ამერიკული სამხედრო კონტიგენტი დაახლოებით 11 ათას ადამიანს შეადგენს. ამის შესახებ სპეციალურ ბრიფინგზე შტაბების გაერთიანებული კომიტეტის მეთაურმა განაცხადა. სამხედრო მალაღლინოსნის ცნობით, კონტიგენტი ის სამხედროები შედის, რომლებიც ავღანეთის უსაფრთხოების სამსახურს კონტრტერორისტული ოპერაციების დაგეგმვაში ეხმარებიან. აქამდე არსებული ინფორმაციით, ავღანეთში 8400 ამერიკელი ჯარისკაცი იმყოფებოდა.



ავღანეთში 11 ათასი აშერიკელი სამხედრო იმყოფება

სახელმწიფოს უიდა ვალი

შპსანსკენი წლებში სერიოზული განსჯის საგანია სახელმწიფოს შიდა ვალის მოცულობის მუდმივი ზრდა. ბოლოს გამოქვეყნებული ინფორმაციით, 2017 წლის I იანვრისთვის სახელმწიფოს შიდა ვალი 2.655 მლრდ ლარს შეადგენდა, საიდანაც 2.159 მლრდ სახაზინო ფასიან ქალაქდებზე მოდიოდა. 2011-2016 წლებში სახაზინო ფასიანი ქალაქდების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი 7.6%-დან 11.6%-მდე მერყეობდა, ანუ, უკანასკნელ 6 წელიწადში, საშუალოდ, 8.6%-იან სარგებელს იღებდა სახელმწიფო - ფასიანი ქალაქდების მფლობელები.

ექსპერტები მიმოიხილავენ შიდა ვალის დინამიკას და ასკვნის, რომ იგი სახელმწიფოს გაცილებით ძვირი უჯდება, ვიდრე ეს საგარეო ვალის შემთხვევაში იქნებოდა და, ამ მოცემულობის გამო, სავალო პოლიტიკის გადახედვასა და შეფასებასაც ითხოვენ. მაგალითად, პორტალი „ჯორჯიან ბიზნეს ენდ პოლიტიკალ ინსაითის“ ექსპერტებმა თვალი გადააქ-

ლეს შიდა ვალის დინამიკას და შესაბამისი დასკვნებიც დადეს. მათი ინფორმაციით, 2009 წლის აგვისტოდან 2017 წლის ივლისამდე 3.176 მლრდ ლარის სახაზინო ვალდებულება გაიყიდა (6-თვიანი და 1-წლიანი ვადიანობის), საშუალოდ, 7.7%-იანი სარგებლით. ექსპერტები ვალდებულებების საშუალო საპროცენტო სარგებელი, როგორც წესი, 7%-ის ფარგლებშია, ხოლო ერთწლიანის - 4%-დან 14%-ის ფარგლებში მერყეობს უკანასკნელი რვა წლის მანძილზე.

2010 წლის თებერვლიდან 2017 წლის III კვარტალამდე პერიოდში 2.764 მლრდ ლარის 1-დან 10 წლამდე ვადიანობის სახაზინო ობლიგაცია გაიყიდა, რომლის საშუალო საპროცენტო განაკვეთმა 9.7% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ობლიგაციების კუპონის გადახედა 6 თვეში ერთხელ ხდება. 2.5 და 10-წლიანი სახელმწიფო ობლიგაციებზე კუპონური განაკვეთი 5.2%-დან 15.5%-ის ფარგლებში მერყეობს წლების მიხედვით.

2009-2017 (I კვარტალი) წლებში სულ 5.94 მლრდ ლარის

ოდენობის სახელმწიფო ფასიანი ქალაქი გაიყიდა. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტს ფასიანი ქალაქდების მომსახურება ყოველ წელს უფრო და უფრო მეტი უჯდება. ასე, მაგალითად: თუ 2010 წელს მხოლოდ 15 მლნ

ლარი დაიხარჯა ამ მიმართულებით, 2016 წელს უკვე 150 მლნ-ის გადახდა მოხერხდა. 2010-2017 (მხოლოდ I კვარტალი) წლებში სახელმწიფო ბიუჯეტს 584.4 მლნ ლარი ობლიგაციებისა და ვალდებულებების მომსახურების პროცენტში

აქცეს გადახდილი, საიდანაც სარგებლის 86%, სავარაუდოდ, ბანკებზე მოდის.

ექსპერტები ხაზს უსვამენ, რომ საგარეო ვალი ბევრად დაბალპროცენტიანია, ვიდრე შიდა. ხელისუფლება ბოლო წლებში ფასიანი ქალაქდების გამოშვებას ყოველწლიურად ზრდის. თუ სახაზინო ფასიანი ქალაქდების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი 2011-2016 წლებში 8.6%-ს უდრის, საგარეო ვალის მომსახურება სახელმწიფოს 2%-ის ფარგლებში უჯდება. მაგალითად, 2016 წელს საგარეო ვალის წლიური საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი 2.03%-ს შეადგენს, ანუ შიდა ვალის მომსახურება სახელმწიფო ბიუჯეტს ოთხჯერ და მეტჯერ უფრო ძვირი უჯდება, ვიდრე საგარეო ვალისა.

ცხადია, შიდა ვალის აღებას აქცეს თავისი უპირატესობებიც: სახელმწიფო ფასიანი ქალაქდების ბაზრის გააქტიურება, ბანკების სტაბილურობისთვის ხელის შეწყობა, ლარის კურსზე ზემოქმედება და ა.შ. თუმცა, ალბათ დროა, არსებული სტატისტიკის ფონზე, სახელმწიფომ და ექსპერტებმა შიდა ვალის პოლიტიკაზე უფრო აქტიურად დაიწყონ მსჯელობა.

ნიკო ვეხინიძე



თბილისის აეროპორტის ახალი მოვრენის ტერმინალი ტერიტორიულ მართვას და სერვისის პროცესის ფარგლებში, ახალი კვების ობიექტები დაიწყო მომსახურება

თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ახალი მოვრენის ტერმინალის საოპერაციო მზადყოფნის და სერვისის პროცესის ფარგლებში, ახალი კვების ობიექტები დაიწყო მომსახურება.

15 სექტემბრიდან მოვრენის დარბაზში მგზავრებს მყუდრო გარემოსა და კერძების ფართო არჩევანს, ხის ინტერიერით მოწყობილი Brewmark Pub Tbilisi შესთავაზებს. ოქტომბრის ბოლოდან კი BUS GATE-ის ზონაში კიდევ ერთი, ახალი Need Stop-ის კაფე განთავსდება. აღსანიშნავია, რომ პირველი Need Stop-ის კაფე ახალი მოვრენის ტერმინალის გაფრენის ზონაში 12 ივლისიდან ფუნქციონირებს. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ყველა კვების ობიექტი 24 საათის განმავლობაში იმუშავებს. წლის ბოლომდე თბილისის საერთაშორისო აეროპორტის გაფრენის ტერმინალში არსებული ყველა კაფე-რესტორნის რენოვაცია იგეგმება.



სასტუმროების 99.5 პროცენტი კერძო, ხოლო 0.5 პროცენტი სახელმწიფო საკუთრებაშია

„საბსტატის“ ინფორმაციით, 2016 წელს საქართველოში მოქმედი სასტუმროების და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების საერთო ფართობი 1675.1 ათას კვადრატულ მეტრს შეადგენდა (29.5%-ით მეტი, გასული წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით). აქედან იჯარით გაცემულია 28.7 ათასი კვადრატული მეტრი, ხოლო ყველა ნომრის საცხოვრებელმა ფართობმა 821.4 ათასი კვადრატული მეტრი შეადგინა (33.3%-ით მეტი, გასული წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით).

2016 წელს მოქმედ სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში ადგილების საერთო რაოდენობამ 61.4 ათასი ერთეული შეადგინა. ნომრების საერთო რიცხვი 28.4 ათასი ერთეულია, რომელთა 10.0% ლუქსია, 12.9% - ერთადგილიანი, 57.8% - ორადგილიანი, ხოლო 19.3% - სამი და მეტი ადგილის მქონე ნომრებია.

შეგასწავნებთ, რომ 2016 წელს საქართველოში სასტუმროს მომსახურებით დაკავებული 1415 ეკონომიკური სუბიექტი ფუნქციონირებდა.



წინაის სისხარის შაქლა

დედამიწაზე უამრავი სახეობის წინაა, რომელთა სიცხარე ეწ. უილბურ სკოლივის შკალით განისაზღვრება და „სკოლივის სიცხარის ერთეულებით“ (SHU) გამოისახება.

სიცხარის გასაზომად, ფარმაცევტი წინაკის სპირტიან ხსნარს ამზადებდა, შემდეგ კი სითხეს იქამდე აზავებდა, ვიდრე ექსპერიმენტორები მასში სიცხარის გემოს ვეღარ არჩევდნენ. თუკი წინაკის სპირტიანი ხსნარის დამატებას წყლის 1000 ნაწილის დამატება სჭირდებოდა, წინაკს 1000 SHU მნიშვნელობა ენიჭებოდა. კერძოდ, სუფთა კაპსაინის (წითელი წინაკების ძირითადი ნივთიერება, რომელიც ადამიანის ტკივილის რეცეპტორებს აღიზიანებს და სიღამწერის ან ფიზიკური დაზიანების შეგრძნებას იწვევს. - რედ.) 15-დან 16 მილიონ SHU-ს შეადგენს; წინაკის ბალობალონის - 2-დან 5,3 მილიონამდე; ტრინიდადის მორიელის - 1,2-დან 1,46 მილიონამდე; ნამა ჯოლოკის - 855-დან 1,041 427-მდე; დორსეტ ნაგას - 876-დან 970 ათასამდე; რედ საკინო ხაბანეროს - 350-დან 577 ათასამდე; ხაბანერო პირი-პირის - 100-დან 350 ათასამდე; იაპონური ცხარე წინაკის - 100-დან 200 ათასამდე; ტაიური წინაკის - 50-დან 100 ათასამდე; ტამასკოს (კაინური წინაკი) - 30-დან 50 ათასამდე; უმაღლესი ხარისხის წითელი წინაკის - 10-დან 25 ათასამდე; უნგრული ცვილის წინაკის - 5-დან 10 ათასამდე; სალაპენოს - 2500-დან 8 ათასამდე; წინაკა როკოტილის - 1500-დან 2500-მდე; წინაკა პაბლანოს - 1000-დან 1500-მდე; წინაკა ჩერის - 500-დან 1000-მდე; ბულგარული წინაკის - 0.

არ არსებობს ულაამაზო საგანი

სამშარში არ არსებობს ულაამაზო საგანი - მიაჩნიათ ეთიოპიაში, მდინარე ომის ველზე მცხოვრები მურსის ტომის ხალხს. ამიტომაცაა, ალბათ, რომ ქალები და მამაკაცების ყოველ ცისმარე დღეს თავს ირთავენ ყველაფრით, რაც ხელში მოჰყვებათ - ყვავილებით, ბალახებით, ხილით, კენკრით, ტოტებით, ცხოველთა რქებით და კბილებით.

ამ ბუნებრივი მასალისგან მურსები ბავშვობიდანვე აკეთებენ არაჩვეულებრივ თავის სამშენისებს, სამაჯურებს, გულსაკიდებს, საყურეებს, ტანს კი უჩვეულო ნახტებით იხატავენ. საღებავების ნაცვლად ისინი სხვადასხვა მცენარესთან შერეულ თიხას ხმარობენ, რომლებითაც განსხვავებულ ფერებს აძლევენ.

მურსის ტომის ქალიშვილებს არა მარტო ბუნებრივი სილამაზით, არამედ ორიგინალური სამკაულის გაკეთების უნართაც აფასებენ. საგულისხმოა, რომ დეკორის ხელოვნებას ბავშვებს საგანგებოდ არავინ ასწავლის - ისინი უბრალოდ, უფროსებს აკვირდებიან.



სასხილო მუიზანი

შარპაის ჯიშის ძაღლისა და... ბემგომის ნაჯვარს ჰგავს მუიზანის ჯიშის... ლორი.

უკვე რამდენიმე საუკუნეა, მუიზანებს ჩინეთში აშენებენ, მათი განსაკუთრებული ნიშნებია კანის ნაკეციები, რომელთა გამო ტყაპუნა ყურებიანი ცხოველი ძალიან სასაცილო სანახავია. ევროპაში მუიზანებს არ აშენებენ, სამაგიეროდ, სახალისო შესახედაობის გამო, ხშირად ჰყავთ ზოოპარკებში.

რაც დათვას...

2017 გენოს წელია

ძარტველი მძიმეწონოსანი გენო პეტრიაშვილი, რომელმაც პარიზში ახლახან გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ოქროს მედალი მოიპოვა...

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, პეტრიაშვილს გასული წლის საუკეთესო მოჭიდავისთვის განკუთვნილი სპეციალური პრიზი (10 000 \$) ჭიდაობის მსოფლიო გაერთიანების პრეზიდენტმა ნენად ლალოვიჩმა...

როგორღე



ფინალში მთავარი ფავორიტი - ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი, თურქი ტაპა აკვული დაამარცხა და ყველაზე პრესტიჟული - მძიმე წონითი კატეგორიის გამარჯვებული გახდა.

შეგახსენებთ, რომ 2016 წელს გორელი ფალავანი კარიერაში პირველად გახდა ევროპის ჩემპიონი, რიოს ოლიმპიურ თამაშებზე კი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

კობა კობახიძე

მარია ნინე მიიწევს

ამერიკის ლია პირველობის 1/32-ფინალში მარია შარაპოვამ ტიმა ბაბოში 6:7, 6:4, 6:1 დაამარცხა.

პირველ სეტში მარია ტაბრიკ-ზე 4:7 წააგო, მეორე პარტიაში 3:3-ზე ბრეიკი შეასრულა და სეტებში ანგარიში გაათანაბრა...

შარაპოვამ 12 ეისი ჩაასრულა და 13-დან 8 ბრეიკი გამოიყენა.

ტურნირის 1/16-ფინალში შარაპოვა სოფია კენინს შეხვდება.

ვითაძე ჯაფარიძე

ცხალბურთი

ბრაუნის თასი - „არენას“

1956 წლის მელბურნის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალოსანია წყალბურთელი პეტრე ბრეუსი...

ლელად ექვსეული (თბილისის „არენა“ და „ტონუსი“, ბათუმის, ქუთაისის, რუსთავის და ერევნის გუნდები) წრიული სისტემით შეხვდა ერთმანეთს:

I ტური. ბათუმი-„ტონუსი“ 20:6, „არენა“-ერევანი 26:2, ქუთაისი-რუსთავი 13:5.


II ტური. „არენა“-ქუთაისი 12:4, რუსთავი-„ტონუსი“ 8:4, ერევანი-ბათუმი 5:12.

III ტური. ბათუმი-ქუთაისი 16:9, „არენა“-რუსთავი 13:2, „ტონუსი“-ერევანი 18:16.

IV ტური. „არენა“-„ტონუსი“ 19:2, ქუთაისი-ერევანი 22:10, ბათუმი-რუსთავი 11:2.

V ტური. რუსთავი-ერევანი 13:10, ქუთაისი-„ტონუსი“ 12:5, „არენა“-ბათუმი 12:4.

ტურნირი უდანაკარგოდ განვლო „არენამ“ (ლუკა მუშკუდიანი, საბა თევდორაძე, შოთა გოგინოვი, ლუკა ტყემ-



ლაშვილი, ოთარ ბეჟიაშვილი, თემურ სურმავა, დავით გორგოძე, ილია ოგანჯანოვი, ლუკა ჩიქოვანი, ლუკა თავყელიშვილი (კაპიტანი), გიორგი აზარაშვილი, ნიკა მამისეიშვილი...

ფიურიმ გამოავლინა ტურნირის საუკეთესო წყალბურთელები: მეკარე - დათო მსხალაძე (ბათუმი), მცველი - ლუკა ჩიქოვანი („არენა“), თავდამსხმელი - გიორგი ქირიაკიძე (ქუთაისი) და ბომბარდირი - გიორგი აზარაშვილი („არენა“, 21 გოლი).

ლემსო ცინცაძე

საფეხბურთო მოზაიკა

ინგლისური შანსი

ზაფხულის სატრანსფერი ფანჯრის დახურვამდე არის შანსი, ამ სეზონში ინგლისის პრემიერლიგაში ქართველი ფეხბურთელი ვიხილოთ.

როგორც იცით, გუშინ ბრიტანულმა გამოცემებმა საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ცენტრალური მცველის სოლომონ კვიციანიას მიმართ ინგლისური კლუბების დაინტერესების შესახებ გაავრცელეს ინფორმაცია.

რუსულ პრესაში ერთ-ერთი აქტიუალური განსახილველი თემა სწორედ კვიციანიას შესაძლო ტრანსფერია. მიმდინარეობს თუ არა მოლაპარაკება ოფიციალურ დონეზე, ჯერჯერობით უცნობი რჩება, თუმცა, როგორც გამოცემა „სპორტ-ექსპრესი“ წერს, ამ კლუბების სკაუტები ქართველს დიდი ხანია აკვირდებიან და თუკი ინგლისელები იაქტიურებენ, დიდა ალბათობა „ლოკომოტივიდან“ საერთო ენა გამოხატონ მიუხედავად იმისა, რომ კვიციანიას იური სოლომონის გუნდის საკვანძო ფიგურაა.

მოსკოველებს სატრანსფერი ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე მოთამაშის დამატება სურთ. მათ შორის გამორჩეულია „ზენიტიდან“ არტიომ ძიუბას შეძენის საკითხი, რომლის ტრანსფერისთვის დამატებითი თანხის გამოყოფაზე „ლოკომოტივის“ დირექტორთა საბჭო უარს ამბობს.

ამასთან, კლუბს გარკვეული სირთულე ექმნება ფინანსური ფეირ პლეის დაცვის მხრივ, კვიციანიას ინგლისში გაშვების შემთხვევაში კი მოსკოველები იმაზე ექვსჯერ მეტ თანხას გამოიმუშავენ, ვიდრე ცოტახნის წინათ ქართველი მცველის ტრანსფერში ყაზანის „რუბინს“ თავად გადაუხადეს და ეს მათ წინაშე სადღეისოდ არსებულ ყველა პრობლემას გადაჭრის.

შეგახსენებთ, რომ სოლომონ კვიციანია ამჟამად საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ირლანდიასთან და ავსტრიასთან გასამართი მატჩებისთვის ემზადება.



შეგახსენებთ, რომ სოლომონ კვიციანია ამჟამად საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ირლანდიასთან და ავსტრიასთან გასამართი მატჩებისთვის ემზადება.



ვითრე?

ტურინის „იუვენტუსის“ გენერალურმა დირექტორმა ბეპე მაროტამ ჩემპიონთა ლიგის D ჯგუფი შეაფასა და აღნიშნა, რომ მისი კლუბის მეტოქე „ბარსელონა“ ისეთი ძლიერი აღარაა, როგორც ადრე მისი თქმით, „ბარსელონა“ წლების განმავლობაში იყო სერიოზული კონკურენტი, თუმცა, ნეიმარის წასვლის შემდეგ გუნდი საგრძობად დასუსტდა.

ვნახოთ, რა მოხდება მასთან მატჩში. ნებისმიერ შემთხვევაში უშედეგო ბრძოლა იქნება, - თქვა მაროტამ Mediaset-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

პირველ მატჩს „ბარსელონა“ საკუთარ კედლებში 12 სექტემბერს ჩაატარებს, საპასუხო მატჩი კი ტურინში 22 ნოემბერს გაიმართება.

ინტერნეტიდან

როგორღე ესკიზები

იტალიის საფეხბურთო კლუბებს შორის ყველაზე მეტი ქალბატონი ქომაგი დედაქალაქურ „რომას“ ჰყვლია. მოდით, ნუ დაგვანწყობინებთ ამის მიზეზ-შედეგობრივ კვლევას, თუმცა, ამაში გასაკვირიც არაფერი უნდა იყოს, რადგან, როგორც ცნობილია, ევროპის დედაქალაქებში ქალბატონები უფრო მეტად სწყალობენ სპორტსა და, კერძოდ, ფეხბურთს.

სხვათა შორის, ამ რამდენიმე წლის წინათ აპენინებზე სხვადასხვა კლუბის ქალ ტიფოზებს შორის მინი-ფეხბურთის სახალისო ტურნირი გამართულა, სადაც სწორედ ჩვენს მიერ უკვე ხსენებულმა „მგლების“ ტიფოზმა გოგონებმა იმარჯვეს.

„არსენალის“ სამიზნა

„პარი სენ შამპენის“ ნახევარმცველის იულიან დრაქსლერის გადაბირებას ლონდონის „არსენალი“ ცდილობს. „მეთოფები“ აღნიშნული ტრანსფერის განხორციელებას იმ შემთხვევაში გეგმავენ, თუ ალექსის საჩენეს გაყიდვან.

ლონდონური კლუბი გერმანელ ფეხბურთელში 32 მილიონი გირვანქა სტერლინგის გადახდას გეგმავს, მაგრამ „პსჟ“-სა და თავად დრაქსლერის პოზიცია ჯერჯერობით უცნობია. ბოლო პერიოდში მოთამაშე ამბობდა, რომ კლუბის შეცვლას არ აპირებს.

„არსენალში“ ალტერნატიულ ვერსიებსაც განიხილავენ: „მონაკოდან“ თომას ლემარი და „ლესტერიდან“ რიად მაჰრევი.

შეგახსენებთ, რომ იულიან დრაქსლერი „პსჟ“-ში 2016-2017 წლების სეზონში „ვოლფსბურგიდან“ გადავიდა. ამ დროის განმავლობაში ყველა ტურნირზე მან პარიზელთა მაისურით 27 მატჩი ჩაატარა და 10 გოლი გაიტანა.

გიორგი შოთაძე





კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროვინცია სააგენტომ ფიტარეთის მონასტერი გააფრთხილა!

ფიტარეთის მონასტრის მიმდებარე ადგილობრივი სასულიერო პირების მიერ მძიმე ტექნიკის გამოყენებით წარმოებულ სამუშაოებს არქიტექტურული ნაგებობებისთვის ახალი დაზიანებები არ მიუყენებიათ, არქეოლოგიურ ფენებზე კი უმნიშვნელო ზეგავლენა იქონია.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მონიტორინგის სამსახურის არქიტექტორ-რესტავრატორებისა და არქეოლოგების ჯგუფმა 29 აგვისტოს ადგილზე შეისწავლა მონასტრის გალავნის დასავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით არსებული ტერიტორია. არქეოლოგის ზედამხედველობის გარეშე, მძიმე ტექნიკის მეშვეობით უნებართვოდ მოსწორებული მიწის ზედა ფენის მოხსნის შედეგად სპეციალისტებმა გამოავლინეს ნატეხი ქვით ნაგები სამეურნეო ორმოს (ე.წ. ხაროს) დაზიანებული ზედა ნაწილი, რომლის გადახურვის ქვები ადგილზე დაფიქსირდა. დაზიანების მსუბუქი სიმძიმის მიუხედავად, სააგენტოს სპეციალისტები სამომავლოდ სავალდებულოდ მიიჩნევენ აღნიშნული არქეოლოგიური ობიექტის მეცნიერულ შესწავლას. ახალი დაზიანებების კვალი არ ეტყობა არც მონასტრის კედლებს და არც მის გალავანს, მათ შორის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ჩართულ გოდოლს, სადაც სხვადასხვა პერიოდის სამშენებლო ფენები იკვეთება. გოდოლის ქვედა, შედარებით ადრეულ ნაწილში არსებობს ძველი ბზარი, რაც არსებული ფოტომასალითაც დასტურდება.

ფიტარეთის მონასტრის არქიტექტურულ ნაგებობებზე ახალი, მნიშვნელოვანი დაზიანებების არარსებობის მიუხედავად, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთვის კატეგორიულად მიუღებელია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ტერიტორიაზე მსგავსი სამუშაოების უნებართვოდ განხორციელება. გამოვლენილი დარღვევების საფუძველზე, სააგენტომ წერილობითი გაფრთხილება ფიტარეთის მონასტრის უკვე მისცა. უნებართვო ქმედებების განმეორების შემთხვევაში კი, სააგენტო არსებული ნორმების უგულვებელყოფის ფაქტს მკაცრ რეაგირებას მისცემს.

„მინდა, გაკოსო-გაკოსო...“

მართალია, დედამიწის ერთმანეთს დაშორებულ კუთხეში განსხვავებულ კულტურულ ფორმაციებში ერთმანეთისადმი სიმპათიის გამოხატვის, სიყვარულის გამოვლენისა თუ შეხვედრა-დამშვიდობების სხვადასხვა რიტუალი არსებობს, მაგრამ ყველაზე მეტად გავრცელებული და მიღებული მანერა ტრადიციული კოცნაა. თუკი ყურადღებას მის განმარტებაზე გავამახვილებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ კოცნა – ესაა სიყვარულის ან პატივისცემის ნიშნად ვინმეს ან რაიმე ნივთის ტუჩებით შეხება.



კოცნის დროს სისხლი შორმონების – ოქსიტოცინის, ტესტოსტერონისა და ენდორფინების გამოფრქვევა ხდება, რაც გუნება-განწყობის გაუმჯობესებასა და ტონუსის ამაღლებას უწყობს ხელს; კოცნის დროს გულსცემის სისხირე წუთში 200 დარტყმას აღწევს; ამ პროცესში სახის 29 კუნთი მონაწილეობს, მის კანს მეტი სისხლი მიერთდება და ტონუსი მატულობს, სწორდება წერილი ნაოჭები; ჭამის შემდეგ კოცნის ყოველ ჯერზე შესაძლებელია კარიის რისკის შემცირება, თანაც ამ დროს პირში მუავიანობა ნორმალურდება; ოცი წამის ხანგრძლივობის სამ კოცნას შეუძლია მთელი დღით გუნების გამოკეთება და სტრესის შორმონების დათრუნვა, რომლებიც წნევის მატებას პროვოცირებენ და უძილობას იწვევენ; ბაქტერიების 278 სახეობა გადაეცემა ადამიანიდან ადამიანს კოცნის დროს, რომელთაგან 95 პროცენტი ხიფათს არ წარმოადგენს; მამაკაცები, რომლებიც სამსახურში ნასვლამდე თავიანთ მეუღლეებს კოცნიან, იმათზე მეტ ფულს შოულობენ, ვინც ამას არ აკეთებს; ერთი კოცნის დროს სამიდან თორმეტ კილოკალორიამდე იწვევა; კოცნის დროს უმრავლესობა ჩვენგანი თავს მარჯვნივ ხრის. გარკვეულ მხარეს თავის გადაწევის ჩვევა, თურმე, ადამიანს ჯერ კიდევ მუსკლად ყოფნისას უყალიბდება; საშუალო სტატისტიკური მონაცემებით, ადამიანი კოცნაზე სიცოცხლის ორ კვირას ხარჯავს; ძალღების პატრონთა 63 პროცენტი მათ რეგულარულად კოცნის; ადამიანთა 66 პროცენტი კოცნაობა თვალდახუჭულს ურჩევნია.

სასურველი სასიკო

ბრიტანულმა გაზეთმა „სანდი თაიმსმა“ 30 წლამდე ასაკის ქვეყნის უმდიდრესი ახალგაზრდების სია შეადგინა, რომლის სათავეში 26 წლის ჰიუ გროსვენორი მოექცა.

ამ ახალგაზრდა კაცს ქონება – 9,3 მილიარდი გირვანქა სტერლინგი და ვესტმინსტერის ჰერცოგის ტიტული მამის გარდაცვალების შემდეგ დარჩა. ცალკეა აღსანიშნავი, რომ ჰიუ გროსვენორი, ვესტმინსტერის ჰერცოგი – რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ I-ის შვილთა შვილთა შვილი და ალექსანდრე პუშკინის შთამომავალია.



დიდი რუსი პოეტის ქალიშვილი ნატალია ცოლად გაჰყვა გერმანელ უფლისწულს ნიკოლა ვილჰელმ ნასაუელს. მათი ქალიშვილი სოფია მერენბერგი კი იმპერატორ ნიკოლოზ I-ის შვილიშვილის, დიდი თავადის მიხეილ მიხეილის ძეს მეუღლე გახდა. ამ წყვილს ქალიშვილი ანასტასია შეეძინა, რომელიც შემდეგ ცოლად გაჰყვა ალმასების მაგნატს ჰაროლდ ოგასტეს უერნერს. სწორედ მათი შვილიშვილი ნატალია ფილიპის შეუღლდა ვესტმინსტერის მე-3 ჰერცოგთან ჯერალდ კვენდიმ გროსვენორსთან, რომელმაც ვაჟიშვილი ჰიუ გაუჩინა.

საგულისხმოა, რომ ჰიუ გროსვენორი დიდი ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრის უფლისწულ უილიამისა და ქეიტის ვაჟიშვილის, უფლისწულ ჯორჯის ნათლია გახდა. სავსებით გასაგებ მიზეზთა გამო, ჰიუ გროსვენორი არა მარტო დიდი ბრიტანეთის, არამედ მთელი მსოფლიოს ქალებისთვის ერთ-ერთი ყველაზე სასურველი საქმროა და როგორც ამბობენ, ყოფილ თანაკლასელ ქალბატონს ხვდება.

„ან შეიძლება, ან გალი, შე კასო!“



დარწმუნებული ვართ, ბევრი დაფიქრებულა იმის თაობაზე, თუ რატომაა, რომ კარის ზღურბლზე მისაღებადამშვიდობებასაც და რაღაცის გადაცემასაც ვერცხვით.

ეს წესი უძველესი დროიდან მომდინარეობს, როცა გარდაცვლილთა ცხედრებს სახლების ზღურბლებს ქვეშ კრძალავდნენ. ამიტომ იყო, რომ ზღურბლზე რაღაცის გადართობა-გადმონობა მიცვალებულის სულის შეწუხებას ნიშნავდა, რაც ძალზე სახიფათოდ ითვლებოდა. ამავე მიზეზით არ შეიძლება სახლის ზღურბლზე ჯდომა, რადგან ის ცოცხლებსა და გარდაცვლილთა სამყაროებს შორის საზღვარს წარმოადგენს. იგივეს თქმა შეიძლება მისაღებაზეც და დამშვიდობებაზეც.

„ზღაპრული“ ქათამი

სიღმის ჯიშის ქათამები („სილიქ“ ინგლისურად „აბრე-შუმს“ ნიშნავს), „ბენვიან“ ფრინველთა უძველესი ჯიშია, რომელიც მე-13 საუკუნეში ჯერ კიდევ მარკო პოლოს უნახავს ჩინეთში მოგზაურობისას.



ამ ჯიშის ქათამების სიფუძვლე ნაკრტენთა განსაკუთრებული აგებულებიდან მომდინარეობს – ესაა რბილ ლეროზე დამაგრებული წვრილი ბუსუსები, მაგრამ ყველაზე გასაკვირი ისაა, რომ თოვლივით თეთრი ბუმბულის ქვეშ... შავზე შავი კანი იმალება. ასევე შავია ფრინველის ძვლები, მისი ხორცი კი მუქი რუხი ფერისაა.

ახლა ამას ისიც მიაბაძეთ, რომ ყურების ბიბილოები მას ლურჯი აქვს, ხოლო ფეხებზე ჩვეული ოთხის ნაცვლად... ხუთი თითი აქვს და „ზღაპრული ქათამის“ პორტრეტი მზადაა.

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS REPUBLIKA

სულხან-საბას ძ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიაშვილი
599 53-76-16;

ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლობა:
შპს „თანამდგომარეობა“-ს გაზეთ
„საქართველოს რესპუბლიკის“
გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესი“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ
შეუკვეთავი მასალაში
დაიბეჭდება ავტორთა
სარჯიტი.
ავტორთა მოსაზრებები,
შესაქალაქი, გუდაამ
არ ეთმობა და
რედაქციის პოზიციას.
ფაქტების სიზუსტეზე
პასუხს აგებენ
ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“
შენი გაზეთი,
აუსილებლად
წაიკითხე!

სკ
უხსოვარი პაუზის კარგი:
პუბლიკაციები - 2.4274; პირი - 2.9000;
ბრიტანული პირიანა სტატუსი - 3.1372;
100 რუბლი - 4.1397; თურქული ლირა - 0.7045;
პარაკანული მანათი - 1.4353;
1000 სოხური ღრამი - 5.0740.

აივნი 1 სექტემბრისთვის
აქტიურობის სანაპირი:
პირი - ღამე +17, დღე +36
პირიანა რაიონი - ღამე +13, დღე +32
დასავლეთი სანაპირი:
პირი - ღამე +17, დღე +30
პირიანა რაიონი - ღამე +12, დღე +29
თბილისი: ღამე +22, დღე +37

დაპირიკაპით, მოგზავრით:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge